სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 თებერვალი 2026

N 102/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში, შპს „ალტერვეისტის“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ქ. რუსთავში, შპს „ალტერვეისტის“ 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთები) დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N3;
2. შპს „ალტერვეისტი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N3 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ალტერვეისტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ალტერვეისტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ქ. რუსთავის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/102-21-4-202602131708

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE